

თემა III

ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ

შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაციის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელია ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბიზანტიური წყაროები ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ მრავალფეროვანია. ისინი აშუქებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქართველთა წარმომავლობისა და მათი გაქრისტიანების ისტორია, პეტრე იბერიელის მოღვაწეობა, დიდი ომიანობა ლაზიკაში, ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობა და მოღვაწეობა, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა, თურქ-სელჩუკთა აგრესია და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ტრაპიზონის სამეფოს შექმნა და ქართველთა ბრძოლა იქ გავლენის შენარჩუნებისათვის და ა. შ. ბიზანტიელ მწერალთა ცნობების ერთი ნაწილი ისეთ მოვლენებს ეხება საქართველოს ისტორიიდან, რომელთა შესახებ სხვა წყაროებში არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

ქართულ, ასევე სომხურ საისტორიო წყაროებში, ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს – ეგრისისა თუ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შესახებ. ამ დიდ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებენ ბიზანტიური წყაროები. ფაქტიურად მხოლოდ ამ წყაროების მიხედვით ხდება შესაძლებელი, მაგალითად, ეგრისის სამეფოს წარმოშობისა და მისი VI ს. ისტორიის შესწავლა და იმდროინდელი მდგომარეობის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა და ა.შ.

1934-1970 წლებში ცნობილი მეცნიერის აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის თაოსნობით საქართველოში გამოიცა კრებული - "გეორგიკა" (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ), 8 ტომად. თითოეულ ტომში წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის (IV-XV სს) ბიზანტიელ ავტორთა ტექსტები ქართული თარგმანითურთ და განმარტებებით, რომელიც დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა.

* * *

IV ს. საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება ამავე საუკუნის ბიზანტიელ მწერალს ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ე ს .

ამიანე მარცელინე (დაახლ. 330-395 წწ) - ამიანე მარცელიანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები მისსავე თხზულებაში მოიპოვება. იგი დაიბადა 330 წელს ქ. ანტიოქიაში, სირიაში, საკმაოდ წარჩინებული ბერძენის ოჯახში. მშობლიურ ქალაქში, რომელიც ამ პერიოდში მნიშვნელოვან კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, კარგი განათლება მიიღო. ამიანეს მოღვაწეობა ემთხვევა

კონსტანტინეს დინასტიის იმპერატორების მეფობის პერიოდს. როგორც წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, იგი ადრევე მიიღეს საიმპერატორო გვარდიაში. 353 წლიდან ის აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლის - ურცინიუსის შტაბში მსახურობს და მას ახლავს ჯერ ნიზიბინში, შემდეგ ანტიოქიაში, 357 წ. გალიაში. 359-360 წწ. თავის სარდალთან ერთად კვლავ სპარსელებს ებრძვის აღმოსავლეთში. 360 წლიდან, ურცინიუსის გადაყენების შემდეგ, მის შესახებ ცნობები შედარებით მცირეა. ჩანს, რომ 363 წელს მან იულიანეს ლაშქრობაშიც მიიღო მონაწილეობა სპარსელების წინააღმდეგ. შემდგომი პერიოდი, 378 წლამდე, ვარაუდობენ მან მშობლიურ ანტიოქიაში გაატარა, სადაც მასალას აგროვებდა თავისი მომავალი ნაშრომისათვის. თუმცა ამ პერიოდშიც უმოგზაურია მას ეგვიპტესა და საბერძნეთში. 378 წელს ის რომში გაემგზავრა, გზაში ომების ასპარეზს ათვალიერებდა ახალი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. 383 წელს ის უკვე რომში ჩანს დაფუძნებული, რომლის ზოგიერთ წრეებში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა.

როგორც ცნობილია, IV საუკუნე ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების ხანაა, 382 წელს გრაციანუსმა საგანგებო ბრძანებით აკრძალა ძველი წარმართული რელიგია. რაც შეეხება ამიანეს, რელიგიის საკითხებში ის ტოლერანტობას იჩენს. ის ქრისტიანი არ არის, მაგრამ არც მათი მოძულეა. მაგ. ნაშრომში ის კიცხავს კიდეც თავის საყვარელ იმპერატორ იულიანეს ქრისტიანების დევნისათვის.

სპეციალისტების აზრით, ამიანემ თავისი დიდი ნაშრომი - „ისტორია“ - 392-393 წლებში დაასრულა. ნაშრომიდან ჩანს, რომ ამიანეს დიდი მასალა აქვს გადამუშავებული, იგი ბევრ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ექსკურს უძღვნის ამა თუ იმ მხარეს, მათ შორის შავიზღვისპირეთს, უმთავრესად ძველ მწერალთა თხზულებებზე დაყრდნობით, მაგრამ ზოგჯერ ახალი მასალის შემატებითაც. მოვლენების აღწერისას ის ობიექტურია, სადაც გასაკიცხია იქ თავის საყვარელ გმირს - იულიანესაც კი არ ინდობს. ამიანეს წერის განსაკუთრებული სტილი ჰქონდა, მძიმე და ზოგჯერ ბუნდოვანიც. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მას, როგორც არარომაელს, მწიგნობრული გზით უფრო ჰქონდა შეთვისებული ენა. სწორედ ამის გამო საკმაოდ დიდხანს ამიანე ჩრდილში იყო მოქცეული.

დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ, როგორც გერმანელი მწერალი შტაინი ამბობს, ტაციტუსიდან მოყოლებული დანტემდე, ამაზე უფრო დიდი მწერალი არ იცოდეს მსოფლიოში.

ამიანეს „ისტორია“ წარმოადგენს ტაციტუსის „ისტორიის“ გაგრძელებას და მოიცავს პერიოდს ნერვას გაიმპერატორებიდან (96 წ) იმპერატორ ვალენტის დაღუპვამდე გუთებთან ბრძოლაში ანდრიანოპოლთან (378 წ). ნაშრომი შედგება 31 წიგნისაგან, რომელთაგან პირველ 13 წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენამდე მოსულ 14-31

წიგნებში აღწერილია 353-378 წლების ამბები, ე.ი. ამიანეს თანამედროვე ვითარება, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამიანე მარცელინეს ცნობები საქართველოს შესახებ. ამიანეს თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული შავიზღვისპირეთის ქვეყნებისა და მათი მეზობლების შესახებ. ცნობები საქართველოს შესახებ წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

XIV წიგნის მე-8 თავში გვხვდება ცნობები არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, კერძოდ იაზონის თანამოლაშქრის მობსოსის ამბავი, რომელიც არგონავტების კოლხეთიდან დაბრუნებისას თანამოლაშქრეებს ჩამოსცილდა, წავიდა აფრიკაში და იქ გარდაიცვალა.

XVI წიგნში ყურადღებას იქცევს პონტოს მეფის მითრიდატეს ასულისა და საჭურის მენოფილოსის ამბავი, რომელიც სხვა ავტორებთან არ გვხვდება. როცა მითრიდატე კოლხეთში გაიქცა, მან თავისი ავადმყოფი ასული დრიაეტინა მენოფილოს დაუტოვა ციხე-სიმაგრე სინჰორიუმში, რომელიც მცირე და დიდი არმენიების საზღვარზე მდებარეობდა. საჭურისმა მოარჩინა ქალი, მაგრამ როცა პომპეუსის ერთ-ერთმა სარდალმა ციხეს ალყა შემოარტყა და ქალის ტყვედ ჩაგდება მოისურვა, მენოფილოსმა ის მოკლა, რათა მეფის ასულისთვის შეურაცყოფა არავის მიეყენებინა და ამით კიდევ უფრო არ გაემწარებინათ დამარცხებული მითრიდატეს სიცოცხლე და შემდეგ თავიც მოიკლა.

XXI წიგნში საკმაოდ საინტერესო ცნობაა იმის შესახებ, რომ რომის მთავრობა საჩუქრებით იბირებდა სომხეთის მეფე არშაკსა და იბერიის მეფე მერიანს (მირიანს). ვარაუდობენ რომ აქ საუბარია მეფე მირიანზე, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო.

XXII წიგნში ამიანე გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს პონტოს სანაპიროზე მცხოვრები ტომების შესახებ. ის აღნიშნავს: „დროა... რაკი ამ მხარეებს მივაღებთ, მკაფიოდ, სარწმუნოებით აღვწერო რაც კი რამ წაკითხული და გაგონილი მაქვს... პონტოს უბის მდებარეობის შესახებ... ეგეკსის ზღვა ნელ-ნელა შევიწროებული შეედიდება პონტოში. შემდეგ პელესპონტს ჰყოფს როდოპასაგან... ამ სანაპიროებზე მდინარეები ერთვიან ზღვას. მათ პირდაპირ აღმართულია ციცაბო კლდეები, სწორედ აქ გაიარეს არგონავტებმა. ბითინიის ნაწილს იქით არის ქალაქები ბერძნების დაფუძნებული, ასევე არის ორი კუნძული, რომლებზედაც მოთავსებულია ქალაქები: ტრაპეზუნტი და პიტიუნტი. აქვე არის რამდენიმე მდინარე... აქვე არის ტავრიკის კონცხი... ამ ადგილების მეზობლად არიან: დაკები, ხალიბები... ამათ ესაზღვრება ხალხმრავალი თემები და ფაზისი ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმას... კორაქსის მდინარესთან ახლოს არის მეოტიდის ტბა, რომლის უხვი ნაკადი პონტოში გამოქუხს... მის გარშემო ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხები... შემდეგ ამათ ესაზღვრება კამარიტების ხალხმრავალი თემები და ფაზისი ხმაურიანი დენით ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმას. იქ სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის

მიხედვით სახელმწიფო ქალაქი ფაზისი და ახლაც კი კარგად ცნობილი დიოსკურია...“. ამავე წიგნში ამიანე საუბრობს ხალიბებზე, რომლებმაც პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა, მათ მეზობლებზე-ტიბარენებზე, მოსინიკებზე, მაკრონებზე და ა. შ.

XXIII წიგნში მოხსენიებულია ლუკულუსისა და პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში, საუბარია სკვითებზე, რომლებსაც ამიანე სარმატებისა და ალანების მეზობლად ასახელებს.

XXVII წიგნში ამიანე მოგვითხრობს რომაელებისა და სპარსელების ბრძოლაზე სომხეთისა და იბერიისათვის. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ სპარსეთის მეფე შაბურ II 368 წელს გამოაძევა რომაელთა მიერ იბერიაში მმართველად დანიშნული სავრომაკი (საურმაგი) და მის ნაცვლად დანიშნა ასპაკური. გაძევებულ საურმაკს რომაელებმა 12 ლეგიონი დაახმარეს და დაუბრუნეს მმართველობა. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ იმპერატორი ვალენტი საქმის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით დათანხმდა იბერიის დაყოფას და საზღვარი მდ. მტკვარზე დაიდო.

XXX წიგნში საუბარია 374 წლის ამბებზე, როცა სპარსეთის დამარცხებული შაპი შაბური ცდილობს იმპერატორ ვალენტისთან მოლაპარაკების გზით მოაგვაროს იბერიის საკითხი და მოციქულებს უგზავნის მას, თუმცა უშედეგოდ. ამიანეს ნაშრომის სხვა წიგნებშიც დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ.

ქართლში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შესახებ პირველხარისხოვანი ცნობები აქვთ დაცული ასევე IV ს. ავტორებს გელასი კასარიელს თავის “საეკლესიო ისტორიაში”, რუფინიუსს, V ს. პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწეს თეოდორიტი კვირიელს და სხვებს. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების დროის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს V ს. ისტორიკოსის პრისკე პანიონელი ცნობებს, ასევე მის მონაცემებს ლაზიკის მეფე გუბაზის შესახებ. ამას გარდა, ამავე ავტორს სხვა საინტერესო ცნობებიც მოეპოვება იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს შესახებ.

ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შესახებ განსაკუთრებით ძვირფასია VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობები.

პროკოპი კესარიელი (დაახლ. 507 – 562 წწ). ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი, წარმოშობით ებრაელი, პალესტინის ქალაქ კესარიიდან იყო. ეკუთვნოდა წარჩინებულ და შეძლებულ ოჯახს. მიიღო ბრწყინვალე განათლება და მალე დაწინაურდა სასახლის კარზე. 527 წლიდან ის იუსტინიანე I-ის სარდალ ველისარიუსს ახლდა, როგორც მისი პირადი მდივანი, ჩრდილოეთ აფრიკის, იტალიისა და სპარსეთის ლაშქრობებში. 542 წელს ის

კონსტანტინოპოლშია. ამის შემდეგ მის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს. პროკოპის ბიოგრაფიული ცნობები ძირითადად მოცემულია სვიდას ლექსიკონში.

პროკოპი კესარიელის მთავარი ნაშრომია „იუსტინიანეს ომების ისტორია“ (პოლემიკა), 8 წიგნად, რომელშიც აღწერილია ბიზანტიელთა ომები ვანდალებთან, გუთებთან და სპარსელებთან, აგრეთვე VI საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური მოვლენები. დაიწერა 545-550 წლებში. როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირველია იუსტინიანეს მთავრობის საგანგებო ხაზს ატარებს თავის თხზულებებში და მის მიერ მონათრობის გაცხრილვა, ცხადია, აუცილებელია ყოველ კერძო შემთხვევაში.

პროკოპი კესარიელი აგრეთვე ავტორია თხზულების „შეობათა შესახებ“, რომელიც მოგვითხრობს იუსტინიანე I-ის საამშენებლო საქმიანობაზე მთელი იმპერიის ფარგლებში. სავარაუდოდ დაიწერა 553-555 წლებში.

მოგვიანებით დადგინდა, რომ პროკოპი კესარიელს ეკუთვნის „საიდუმლო ისტორია“ (ანეკდოტა), ფარულად დაწერილი თხზულება, რომელშიც იუსტინიანესა და დედოფალ თეოდორას მძაფრი კრიტიკაა მოცემული, აგრეთვე აღწერილია მათი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც დაგვიტოვეს ცნობები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად.

პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ. პროკოპი კესარიელის შრომები ძვირფას მასალას შეიცავენ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესახებ. „ომების ისტორიის“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბიზანტიელთა ბრძოლებს სპარსეთის წინააღმდეგ (*De bello persico*) მოცემულია შემდეგი სახის საინტერესო ცნობები:

ინფორმაცია სპარსეთის მეფე პეროზის შესახებ, სპარსეთისა და ბიზანტიის დავა ლაზიკის გარშემო, სადაც აღნიშნულია, რომ „ლაზიკის გარშემო საკმაოდ დიდი უთანხმოება არსებობდა. სეოსმა თქვა რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდებოდა, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და რომაელებს ძალით უჭირავთ უსამართლოდ“;

შემდეგ საუბარია ლაზების ყოფა-ცხოვრება. აღნიშნულია, რომ ლაზები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველაზე კარგად ასრულებენ. რომ ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრეა, რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა, „თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც რამე სიკეთე. სხვა ადგილიდან რაიმეს შემოტანა ვიწრობების წყალობით შეუძლებელია მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანდნენ. მეფემ რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების

სადარაჯოზე დადგომა, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და ისინი ხელთ იგდეს სპარსელებმა სრულიად გაურჯელად“;

საინტერესოა ცნობები სპარსეთის ურთიერთობის შესახებ იბერიის მეფე გურგენტან; ცნობები ჭანების ტომის საცხოვრებლის შესახებ; 532 წლის „უვადო“ ზავის შესახებ სპარსეთსა (ხოსრო) და ბიზანტიას შორის; ბიზანტიის პოლიტიკა ჭანეთში, ლაზეთსა და არმენიაში; ბიზანტიის სავაჭრო მონოპოლია ლაზეთში, 545 წლის ხუთწლიანი დროებითი ზავი,

მნიშვნელოვანია პროკოპისტან დაცული ცნობები ლაზთა ციხე-სიმაგრე პეტრაზე და სპარსეთ-ბიზანტიის ბრძოლაზე ამ ციხისათვის. ავტორი გადმოგვცემს, რომ პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში. ის უმნიშვნელო იყო ადრე, ხოლო იუსტინიანე მეფემ გარეზლუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა ის. ქალაქი პეტრა მიუვალაა ჯერ ერთი ზღვის მხრიდან, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრივ არის აღმართული. მასში ბიზანტიელთა ჯარი იდგა. ბუნებრივია, რომ სპარსეთს სურდა ამ ციხის ხელში ჩაგდება, რისთვისაც ირანის შაჰი ხოსრო აქ ჯარს აგზავნის. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს ამ ციხისათვის ბრძოლის სურათს.

ასევე საინტერესო ცნობებია დაცული „ომების ისტორიის“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება გოთებთან ბრძოლას (*De bello gothico*). აქ ავტორი აღნიშნავს, რომ წინა წიგნში მან აღწერა ამბები, რომლებიც 545 წლის ხუთწლიანი დროებითი ზავის მეოთხე წლამდე მოხდა, ხოლო ამის შემდეგ აღწერს მომდევნო პერიოდს. ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი ჭანეთის და ლაზეთის მოსახლეობა, აქ არსებული მდინარეები, ქალაქები; მოცემულია ცნობები აბაზგების, მათი გაქრისტიანების და მათი მეზობლების შესახებ. საინტერესოა ინფორმაცია, რომ აბაზგების ქვეყანაში იუსტინიანემ ააშენა ღვთისმშობლის ტაძარი; საინტერესოა ინფორმაცია სპარსეთისა და ლაზეთის ურთიერთობის შესახებ სპარსეთის შაჰის ხოსროს დროს, 550 წლის ბრძოლა ლაზ-ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის პეტრასთან, 550 წელს დადებული მეორე ხუთწლიანი ზავის პირობების შესახებ, 552 წელს სპარსელთა მარცხი ლაზიკაში და ა. შ.

პროკოპი კესარიელის ცნობები მრავალმხრივია, მაგრამ განსაკუთრებით ვრცელი და საინტერესოა მისი ცნობები ბიზანტია-ირანის მიერ ეგრისში წარმოებული ოცწლიანი ომის, ე.წ. „დიდი ომიანობის“ შესახებ, მისი მიზეზების, ეგრისის მიმართ ბიზანტიელთა პოლიტიკის, ირანელთა ზრახვების, ლაზიკის ეკონომიკური ვითარების, მისი ქალაქებისა და სიმაგრეების და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ. პროკოპი კესარიელის დანარჩენ თხზულებებში დაცულია შედარებით მცირერიცხოვანი ცნობები საქართველოს შესახებ.

პროკოპი კესარიელს თავისი თხრობა ძირითადად VI ს. შუა წლებამდე აქვს მოყვანილი. ამას ფაქტიურად აგრძელებს და ზემოაღნიშნული ოცწლიანი ომის შემდგომი მსვლელობის დეტალურ აღწერას იძლევა VI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი, თავის თხზულებაში “იუსტინიანეს მეფობის შესახებ”. თუმცა ვერც აგათიმ შეძლო ბოლომდე აღეწერა ეს ომი და მხოლოდ 552-558 წლების ამბების მოთხრობით დაკმაყოფილდა. მაგრამ ის, რაც აღწერილია, წარმოადგენს ძირითად წყაროს აღნიშნული წლების ლაზიკის ისტორიისათვის.

აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ). აგათია მემონის ძე დაიბადა 536 წელს, ქალაქ მირინაში, მცირე აზიის ეოლიდის ოლქში, ცნობილი რიტორის მემონის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ალექსანდრიაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა კონსტანტინეპოლში, სადაც იურისტის სპეციალობას დაეუფლა და შეუდგა ვექილობას. თავისუფალ დროს ის უთმობდა ლიტერატურასა და პოეზიას, შექმნა არაერი საინტერესო ნაშრომი. გარდაიცვალა 582 წელს, 46 წლის ასაკში.

ისტორიაში აგათია ცნობილია, როგორც პოეტი და ისტორიკოსი. ჩვენამდე ნაწყვეტების სახითაა მოღწეული მისი სალიტერატურო სახის ეპიკური ნაწარმოები და შვიდი წიგნისგან შემდგარი ეპიგრამების კრებული. ეს ეპიგრამები მოკლებულია ორიგინლობას, როგორც VI საუკუნის მეორე ნახევრისთვისაა მიღებული და ხასიათდება გადამეტებული სიზვიადით.

იუსტინიანე კეისრის გარდაცვალების (565წ.) შემდეგ აგათია იწყებს საისტორიო ნაშრომის - “იუსტინიანეს მეფობის შესახებ” - შექმნას, სადაც აღწერს იუსტინიანეს დროინდელ ამბებს. იგი წერას იწყებს იმ დროიდან, სადაც პროკოფი კესარიელი შეჩერდა. მისი შრომა შედგება ხუთი წიგნისგან და მოიცავს 552-558 წლების ამბებს. პირველი ორი წიგნი ეხება სარდალ ნერსეს ლაშქრობებს დასავლეთის ფრონტზე, ხოლო დანარჩენ წიგნებში აღწერილია აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარი ამბები. სპარსელებთან ომების აღწერისას აგათია სხვა წყაროებთან ერთად იყენებს სპარსულ ქრონიკებსაც. წერის სტილით ამიანე პროკოპი კესარიელს ბაძავს, მაგრამ სამწერლობო ნიჭით ბევრად ჩამოუვარდება მას.

აგათია სქოლასტიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ. აგათიას ნაშრომი წარმოადგენს ძირითად წყაროს 552-558 წლების ლაზიკის ისტორიისათვის.

აგათია თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ რომაელებსა და სპარსელებს შორის დიდი ხანია მიმდინარეობდა სასტიკი ომი. ისინი დროებით დაზავდნენ აღმოსავლეთით და არმენიის საზღვრებზე. კოლხეთში კი, ომს განაგრძობდნენ. ლაზებს ძველად ეწოდებოდათ კოლხები. ძველი ისტორიკოსები წერენ, რომ ისინი ეგვიპტიდან გადმოსახლებულნი არიან. როცა ეგვიპტელმა მეფემ სესოსტრისემ მთელი აზია დაიპყრო, ამ ქვეყანაში მოვიდა და ჯარის ერთ ნაწილი კოლხეთში დატოვა. მათი სადაურობა

დავის საგანი გახდა ჩვენს დროში. ბრძოლების უმეტესობა მათი ქვეყნის გამო მოხდა. სპარსეთის მეფეს დაპყრობილი ჰქონდა ბევრი მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ სურდა უფრო მეტი ტერიტორიების ხელში ჩაგდება. იუსტინიანეს კი, რომლის ქვეშევრდომიც იყო ლაზთა მეფე გუბაზი, მისი თანამზრახველი და ერთმორწმუნე, ცდილობდა მტერი მოეგერიებინა. იუსტინიანეს ემინოდა, რომ თუ სპარსელები გაიმარჯვებდნენ, ადვილად მოხვდებოდნენ რომაელთა სამეფოში. ამიტომ მან ძლიერი ჯარი გაგზავნა ლაზიკაში და საუკეთესო მხედართმთავრები ჩაუყენა სათავეში. როგორც ჩანს, ხუთწლიანი ზავის დადებით (550) შემდეგაც ვერ მოხერხდა ამ ორ სახელმწიფოს შორის ლაზიკის საკითხის გადაჭრა.

აგათია საკმაოდ ვრცლად საუბრობს ბიზანტიელი სარდლების შეთქმულებაზე ლაზთა მეფე გუბაზის წინააღმდეგ და მისი მკვლელობის შესახებ 554 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ კოლხეთში სამარცხვინო ამბავი მოხდა: როდესაც გუბაზ მეფემ პეტრას დაცვის დროს რომაელთა სამარცხვინო გაქცევის ამბავი გაიგო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი. ის ამაში ბრალს სდებდა სტრატეგოსებს, განსაკუთრებით ბესას, „რადგან როდესაც მან პეტრას ციხე აიღო უნდა ჩაეკეტა ციხის გადასასვლელები, ამის ნაცვლად მან თავისი ხელქვეითი ქალაქებიდან ხარკი აკრიფა“. მეფემ ბესა თანამდებობიდან გადააყენა. გუბაზმა შენიშნა, რომ ამის შემდეგ დანარჩენი სტრატეგოსები მისდამი მტრულად იყვნენ განწყობილნი, განსაკუთრებით აბრაზებდა მათ ის, რომ გუბაზი მეფესთან აგზავნიდა მათზე საჩივარს. ამიტომ გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. მათ მოითხოვდნენ და ბიზანტიონში გაგზავნეს იოანე, რუსტიკეს ძმა, რათა მას მიეტანა ამბავი, თითქოს გუბაზი სპარსელების მომხრე გახდა. იუსტინიანემ იოანეს უთხრა, რომ ყოველი ღონე ეხმარათ მის ბიზანტიაში გასაგზავნად, თუ ურჩობას დაიწყებდა უნდა გასწორებოდნენ მას, როგორც მტერს. ეს ყოველივე მეფემ წერილშიც აღნიშნა და იოანეს გაატანა კოლხეთში. მარტინემ და რუსტიკემ დაასკვნეს, რომ ყველაფერი მოგვარებული იყო და საქმეს შეუდგნენ. მათ მოტყუებით დაიბარეს გუბაზი ხოზის წყალთან დაცვის გარეშე, მხოლოდ რამდენიმე ახლდა მეფეს თავისი ამალიდან, ისიც უიარაღოდ. რუსტიკემ შესთავაზა გუბაზს, რომ მასთან ერთად წასულიყო ონოგურისში სპარსელების დასამარცხებლად. გუბაზმა მათ უარი განუცხადა დახმარებაზე, რადგან ფიქრობდა, რომ სტრატეგოსთა უგუნურების გამო დაკარგეს მათ ციხე პეტრა და მათი ვალი იყო მისი დაბრუნება. როცა ეს თქვა გუბაზმა იოანემ ჩათვალა, რომ ეს ამტკიცებდა მის ურჩობას, ამიტომ ჩუმად ჩასცა გუბაზს ხანჯალი მკერდში, მაგრამ არა სასიკვდილოდ. გუბაზი ცხენიდან ჩამოვარდა, ამ დროს თავს წაადგა რუსტიკეს მეშუბე და მახვილით თავი გაუჩეხა. ლაზებმა გუბაზი მათი წესის მიხედვით დაკრძალეს და ბრძოლაში აღარ მიიღეს მონაწილეობა, როგორც შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა.

ამის შემდეგ ნაშრომში გადმოცემულია ლაზების თათბირი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ქვეყნის მმართველებმა არ იცოდნენ რა გაეკეთებინათ, ამიტომ ისინი შეიკრიბნენ კავკასიის ერთ ხეობაში რომაელებისგან მალულად და დასვეს საკითხი - სპარსელების მხარეს გადასულიყვნენ თუ რომაელებთან დარჩენილიყვნენ. დიდებულთა შორის იყვნენ აიეტი და ფარტაზი, რომლებსაც აღელვებდათ ქვეყნის მდგომარეობა. აიეტი მუდამ სპარსელთა მომხრე იყო, ხოლო ფარტაზი - ბიზანტიელთა. შემდეგ დეტალურად არის აღწერილი აიეტისა და ფარტაზის სიტყვები, რომლებსაც უნდა განესაზღვრათ ლაზიკის მომავალი ორიენტაციის საკითხი. საბოლოოდ არჩევანი ბიზანტიაზე შეჩერდა.

აგათია ასევე საუბრობს ლაზთა მიერ გაგზავნილი ელჩობის შესახებ იუსტინიანესთან, წათეს დამტკიცებაზე ლაზთა მეფედ, გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე (მკვლელები ჯორებზე შესვეს და ისე ჩამოატარეს ქალაქში. მერე თავები მოკვეთეს.).

მნიშვნელობანია თხზულებაში დაცული ცნობები ირანის ნახორაგანის ლაშქრობისა ლაზეთში, 555 წელს, არქეოპოლისის მახლობლად, რომელიც მარცხით დასრულდა. ირანის ლაშქრობის შესახებ ქალაქ ფაზისში (ფოთში) იმავე 555 წელს, რომელიც ასევე უშედეგოდ დასრულდა სპარსეთისათვის. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის 558 წელს დადებული დროებითი ზავის, ბიზანტიის ჯარის როდენობის შესახებ და ა.შ.

აგათიას თხზულების გაგრძელებას წარმოადგენს VI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრეს “ისტორია”, რომელიც შეიცავს 558-582 წლების ამბების აღწერას.

მენანდრე პროტიქტორი (VI ს.). VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი, დაიბადა კონსტანტინოპოლში, VI საუკუნის შუა წლებში. ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობას თვითონ გადმოგვცემს თავისი თხზულების შესავალში, რომლის ნაწყვეტები მოღწეულია ჩვენამდე სვიდას ლექსიკონში. მისი მამა - ევფრატასი კონსტანტინეპოლის მცხოვრები იყო. თვითონ უსწავლელმა კაცმა შვილებს იურიდიული განათლება მიაღებინა. მენანდრეს დაუმთავრებია უმაღლესი იურიდიული სკოლა, მაგრამ არ მოისურვა ცხოვრებაში გამოეყენებინა თავისი სპეციალობა და იურიდიულ სამსახურში დარჩენილიყო. ამის ნაცვლად ის გართობას მიეცა და მუდმივი სტუმარი იყო იპოდრომისა და პანტომიმებისა. გარდატეხა მენანდრეს ცხოვრებაში მაშინ მოხდა, როდესაც საბოლოოდ გაკოტრდა. ამ დროს ბიზანტიის სამეფო ტახტზე ავიდა იმპერატორი მაურიკი (582-602), რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიყვარულს გამოხატავდა პოეზიისა და ისტორიის მიმართ. მან მხარი დაუჭირა მენანდრეს, რომელმაც ხელი მოკიდა ბიზანტიის ისტორიის შესახებ ახალი ნაშრომის შექმნას.

მენანდრეს საისტორიო შრომა შეიცავს 558-582 წლების ამბებს, ე.ი. მენანდრე ფაქტიურად აგრძელებს აგათია სქოლასტიკოსის „ისტორიას“ იქიდან, სადაც უკანასკნელი შეჩერდა. ის იწყებს იმ დროებითი ზავის აღწერით, რომელიც დაიდო ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 558 წელს და გადადის „ორმოცდაათწლიანი“ ზავის დადების ისტორიაზე. მთავარი ადგილი მენანდრეს „ისტორიის“ ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში უჭირავს ამ „ზავის“ ამბებს, იმ ხანგრძლივ მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებდნენ ბიზანტიისა და ირანის წარმომადგენლები 562 წლის ზავის წინ. შემდეგი ფრაგმენტები ეხება 571 წელს პერსარმენიაში მომხდარ აჯანყებას და მის მომდევნო ამბებს. პარალელურად მენანდრე ეხება დასავლეთის ამბებსაც.

ჩვენამდე მოღწეულია სულ მენანდრეს „ისტორიის“ 77 ნაწყვეტი: ამათგან 15 ფრაგმენტი სვიდას ლექსიკონშია ციტატების სახით მოყვანილი, დანარჩენი - კონსტანტინე პორფიროგენიტის თაოსნობით შედგენილ კრებულში. თუ რა წყაროებით სარგებლობდა მენანდრე თავისი ისტორიისათვის, უცნობია. მართალია, ამბავთა ერთი ნაწილის მონაწილე ავტორი თავად იყო, მაგრამ მისი მოთხრობა იწყება ისეთი ხანით, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ირანული ამბებისათვის შეიძლება თეოფანე ბიზანტიელი იყო მისი წყარო.

მენანდრე პროტიქტორის ცნობები საქართველოს შესახებ. მენანდრეს „ისტორია“ შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს VI საუკუნის საქართველოს ისტორიის – ბიზანტიასა და ირანთან ლაზიკისა და ქართლის ურთიერთობა, სვანეთის გარშემო ატეხილი დავა და სხვ. - შესახებ.

მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ის ფრაგმენტები, რომლებშიც მოთხრობილია სვანეთთან დაკავშირებულ დავაზე ბიზანტიასა და ირანს შორის. როგორც ცნობილია, ბიზანტია-ირანის ომის დროს, 552-558 წლებში, ირანელებმა მარტივად ჩაიგდეს ხელში სვანეთი, რადგან თვითონ სვანები განუდგნენ ლაზებსა და ბიზანტიელებს და ირანელებს მიემხრნენ.

როგორც მენანდრე გადმოგვცემს, მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: 562 წელს, როდესაც დარაში შეიყარნენ ბიზანტიისა და ირანის ელჩები და შეუდგნენ საზავო მოლაპარაკებას, ყველა საკითხში მიაღწიეს შეთანხმებას, გარდა სვანეთის საკითხისა. საქმე ის არის, რომ 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ირანელებმა ლაზეთი დაუთმეს ბიზანტიელებს, მაგრამ სვანეთის შესახებ განაცხადეს: სვანები თავისი არჩევით და თავისი ნებით მოგვეკედლნენ და მაშასადამე ჩვენ მიერ ლაზეთის დათმობა არ გულისხმობს თქვენთვის სვანეთის დათმობასაცო. ბევრი იდავეს ელჩებმა ამ საკითხზე, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს. გადაწყვიტეს ეს საკითხი თვით ირანის შაჰს ხოსროს განეხილა. ამდენად, 562 წლის ორმოცდაათწლიანი საზავო ხელშეკრულების დადების დროს სვანეთის საკითხი ღიად დარჩა.

მოგვიანებით ხელახალი მოლაპარაკება ხდება სვანეთის საკითხზე. ბიზანტიელთა ელჩი პეტრე და ირანის მეფე ხოსრო არ ზოგავენ ძალას, რომ ერთმანეთი დაარწმუნონ თავიანთ სიმართლეში. საბოლოოდ ზავი ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ისე, რომ სვანეთის საკითხი კვლავ სადაო დარჩა. როგორც ჩანს, ბიზანტიისათვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომ იუსტინე II-მ ტახტზე ასვლისთანავე (565 წ) გადაწყვიტა მისი მოგვარება და თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ირანში ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად.

მენანდრე აღნიშნავს, რომ სვანეთი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ბიზანტია-ირანისათვის, რომ ისინი ღია კონფრონტაციასაც არ ერიდებოდნენ. ავტორი მოგვითხრობს, რომ სვანეთი თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო მეტად მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიელთათვის. მენანდრეს 18-22 ფრაგმენტებში საუბარია ბიზანტიის ინტერესებზე სვანეთთან მიმართებაში, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: სვანეთზე გადიოდა ის გზა, რომლითაც ბიზანტია ფიქრობდა აბრეშუმის შემოტანას, რათა თავი დაეღწია ირანის მეშვეობით აბრეშუმით ვაჭრობისაგან. ირანი თავის მხრივ რასაკვირველია, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ დაეხშო ბიზანტიისათვის ეს გზა.

როგორც ცნობილია, ბიზანტია-ირანს შორის 562 წელს დადებული საზავო ხელსეკრულება მალევე დაირღვა. მენანდრე მოგვითხრობს მომდევნო, 576-577 წლების საზავო მოლაპარაკებებზე, როდესაც ორივე მხარის ელჩები შეიყარნენ და ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ განემტკიცებინათ ზავი. საბოლოოდ ისინი შეთანხმდნენ თავი გაენებებინათ ურთიერთბრალდებებისაგან და აღარ დაეწყოთ ზავის დარღვევაში დამნაშავის მოძიება. რომაელებმა გადაწყვიტეს დაეთმოთ ირანისთვის პერსარმენია და იბერია, რაც სპარსელთა მეფეს ძალზე სასიამოვნოდ მიაჩნდა. ამის საპასუხოდ კეისარს აზრად მოუვიდა პერსარმენიისა და იბერიის სანაცვლოდ მიეღო ქალაქი დარა. როცა თითქმის გადაწყვეტილი იყო ყველაფერი მოხდა შეტაკება არმენიაში, რომელშიაც რომაელები ყოველგვარი მოლოდინის გარეშე საშინლად დამარცხდნენ და ძალიან ბევრი მათგანი დაიღუპა. რადგან სპარსელები ამ გამარჯვებით გამხნეებული იყვნენ, მათმა მეფემ ბრძანა რომაელებისათვის ქალაქ დარას გადაცემის შესახებ არავითარი წინადადება არ მიეღოთ. საზავო მოლაპარაკება გაგრძელდა. ბიზანტიელი ელჩები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. ირანი საქმეს აჭიანურებდა და ემუქრებოდა ბიზანტიელ ელჩებს მათი ქვეყნის ააწიოკებით. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ხოსრომ გადაწყვიტა დაერღვია ხელშეკრულება და დასცემოდა რომაელებს, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამით შეაშინებდა კეისარს, რომელიც ამჯობინებდა უარი ეთქვა სპარსელთა არმენიაზე და იბერიაზე, რადგან აღმოსავლეთის აოხრებას ერჩია პერსარმენიელთა და იბერთა დაკარგვა.

ნაშრომის ბოლოს მენანდრე მოგვითხრობს 580 წელს განახლებული საომარი ოპერაციების შესახებ. ამ ომში ბიზანტიამ ვერაფერს ვერ მიაღწია და კვლავ გაგზავნა ელჩები სპარსეთში. ბიზანტია იძულებულნი გახდა უარი ეთქვა თავის აღმოსავლურ პროვინციებზე, რომლებიც უკვე ირანის ხელში იყო გადასული. როგორც პერსარმენია და არმენია, ასევე იბერია და ლაზიკა, სვანეთთან ერთად ირანის ქვეშევრდომობაში გადავიდა.

VI ს. საქართველოს შესახებ მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები მოეპოვება აგრეთვე **თეოფანე ბიზანტიელს, იოანე მალალას, ევარგი სქოლასტიკოსს, თეოფილაქტე სიმოკატტას** და სხვებს.

VII საუკუნის საქართველოს შესახებ ყურადღებას იმსახურებს VIII ს. მიწურულისა და IX ს. დამდეგის ისტორიკოსის, **თეოფანე ჟამთააღმწერელის** “ქრონოგრაფია”. მართალია, თეოფანეს მიერ აღწერილია ამბები 284 წლიდან IX ს. დამდეგამდე, მაგრამ ჩვენს ყურადღებას ამჟამად მისი თხზულების ის ნაწილი იქცევს, რომელიც VII-VIII სს. ისტორიას შეეხება და სადაც დაცულია ცნობები ჰერაკლე კეისრის საქართველოში ლაშქრობის, არაბთა პირველი შემოსევების, მათ მიერ იბერიისა და სომხეთის დამორჩილების, საარაბო ხარკის დაწესებისა და სხვათა შესახებ.

ამავე პერიოდის ბიზანტიურ-ქართული ეკლესიური ურთიერთობისა და საერთოდ, ქართული ეკლესიის ისტორიისათვის საინტერესო მასალები მოიპოვება IX ს. პირველ მესამედში შედგენილ ე. წ. “ეკთესიებში” – საეკლესიო კათედრათა ნუსხებში. აღსანიშნავია, რომ ამ მასალებით დასავლეთ საქართველო ადმინისტრაციულ-ეკლესიურად IX ს. დამდეგამდე კონსტანტინეპოლის კათედრას ექვემდებარებოდა, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს ეპარქიების მოუხსენებლობა ბიზანტიურ ეკთესიებში, ბიზანტიისაგან ჩამოშორების მაუწყებელი უნდა იყოს. ამავე მასალებიდან ირკვევა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (ტრაპიზონიდან ლაზიკისაკენ) მოსახლეობას მჭიდრო კავშირი ჰქონია დასავლურქართულ სახელმწიფოსთან.

IX-X სს. საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X ს. I ნახევრის ისტორიკოსის იმპერატორ **კონსტანტინე პორფიროგენეტი** ცნობები, რომლებიც ძირითადად შეეხება იბერიელთა ვინაობას, ბაგრატიონთა გამეფებას იბერიაში და მათ გენეალოგიას, ბასიანის საკითხს, ქალაქ არტანუჯის მნიშვნელობას იმდროინდელ საგარეო ვაჭრობაში და სხვა საინტერესო საკითხებს.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (905-959 წწ). ბიზანტიის იმპერატორი 913-920 და 945-959 წლებში. მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელი. დაიბადა 905 წელს კონსტანტინოპოლში. ის იყო ლეონ VI ბრძენის და მისი მეოთხე ცოლის, ზოიას ვაჟი. პირველი სამი ცოლისაგან იმპერატორს მემკვიდრე არ ყავდა. ბიზანტიური კანონმდებლობით მეოთხე ცოლის მოყვანას ეკლესია კრძალავდა, ამიტომ კონსტანტინეს

დაბადება უკანონო იყო. ლეონ VI-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ თავისი ერთადერთი, მაგრამ უკანონო ვაჟისათვის უზრუნველყო სამეფო ტახტი. 908 წელს, 3 წლის ასაკში ლეონმა ის თანამმართველად დაისვა. მაგრამ ლეონი მალე გარდაიცვალა (912 წელს) და კონსტანტინე ჩამოშორებულ იქნა რეალურ მმართველობას. 920 წლამდე მისი რეგენტები (ჯერ ბიძა - ალექსანდრე, შემდეგ დედა) მართავდნენ ქვეყანას, 920-945 წლებში თვითონ მართავდა მხოლოდ ნომინალურად, ვინაიდან ამ ფუნქციას ამჯერად მისი სიმამრი რომანოზ ლეკაპინე ასრულებდა. რეალურ მმართველობას ჩამოშორებული იმპერატორი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დაკავებული. მისი ინიციატივით და ზრუნვით იხსნებოდა ახალი სკოლები, უნივერსიტეტი, გამოდიოდა კომპილაციური ხასიათის ენციკლოპედიური კრებულები. ის ავტორია რამოდენიმე თხზულებისა, რომლებიც ბიზანტიის ისტორიის ძვირფასი წყაროა: „იმპერიის მართვის შესახებ“, „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“, „თემების შესახებ“, „ბასილი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა“. 945 წლიდან, რომანოზ ლეკაპინეს გამეფების შემდეგ ის უკვე იმპერიას ერთვიპოვნულად მართავს. ამ დროისათვის იმპერატორი უკვე 40 წლის იყო და მაშინდელი ევროპის უგანათლებულეს ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები საქართველოს შესახებ. IX-X სს. საქართველოს ისტორიის შესწავლის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა კონსტანტინეს ნაშრომი „იმპერიის მართვის შესახებ“ (de administrando imperio), რომელშიც კონსტანტინე მიმართავს თავის შვილს და აცნობს მას ყველა იმ ხალხს და სახელმწიფოს, რომლებიც გარს აკრავს ბიზანტიის იმპერიას. თხზულების შესავალშივე ის ასე მიმართავს თავის შვილს „დაუფიქრდი აწმყოს და შეისწავლე მყოფადი, რათა შეაზავო გამოცდილება და გამჭრიახობა, და შენ საქმის მცოდნე გამოხვალ. მე გაძლევ დარიგებას, რათა ისარგებლო მისი გამოცდილებით და ცოდნით კარგი გადაწყვეტილების მისაღებად, და არ ჩაიდინო შეცდომები საერთო კეთილდღეობის საზიანოდ. პირველ ყოვლისა საჭიროა იცოდე: რომელი ტომი რაში შეიზლება გამოადგეს რომაელებს (ე.ი.ბიზანტიელებს), რა შეიძლება მან ავნოს მათ და რანაირად: რომელი ტომების საშუალებით შეიძლება მათ დაემუქრო და დაიპყრო. შემდეგ მოგითხრობ მათი უზომო სიხარბის, დაუკმაყოფილებელი მისწრაფებისა და უსაფუძვლო მოთხოვნების შესახებ. შემდეგ - თითოეული ტომის ღირსებათა შესახებ. მათი წარმოშობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოხდა სხვადასხვა დროს რომაელებსა და სხვადასხვა ხალხებს შორის და რა მოხდა ახალი ჩვენს სახელმწიფოში და რომაელთა მთელ მიწა-წყალზე.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ნაშრომში წარმოდგენილი ცნობები ძირითადად შეეხება იბერიელთა გენეალოგიას, ბაგრატიონთა გამეფებას იბერიაში და ბასიანის საკითხს, ქალაქ არტანუჯის მნიშვნელობას იმდროინდელ საგარეო ვაჭრობაში და სხვა საინტერესო საკითხებს.

იბერიელთა წარმოშობის შესახებ კონსტანტინე აღნიშნავს, რომ თვითონ იბერიელთა გადმოცემით ისინი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალნი არიან. აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხედულება უკვე დავით კურაპალატის დროს იყო გავრცელებული. ავტორი გვაწვდის მისი წინა პერიოდის ბაგრატიონთა გენეალოგიას, რომელიც ასე გამოიყურება: დავითი-ბაგრატი-აშოტი-ადარნასე. როგორც ჩანს აქ გენეალოგია არეულია. ს. ჯანაშიამ შეიტანა გარკვეული შესწორება და მოგვცა სწორი თანმიმდევრობა ბაგრატიონ მეფეთა: აშოტი-ბაგრატი-დავითი-ადარნასე. საინტერესოა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ იბერიის სამეფო საგვარეულოში მიღებული იყო ახლო ნათესავთა შორის ქორწინება.

პორფიროგენეტი ასევე მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ირაკლი კეისრის ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ იბერიელებიც მონაწილეობდნენ. ეს უნდა ყოფილიყო ირაკლის პირველი ლაშქრობის დროს (622-623 წწ).

საინტერესოა ცნობა, რომელიც ეხება იმპერატორ ლეონის ლაშქრობას სპარსელთა წინააღმდეგ, ფასიანების განთავისუფლებას და თეოდოსიუპოლის (დღევ. არზრუმის) და სხვა ქალაქების სარკინოზოთაგან დაბრუნებას.

მნიშვნელოვანია ცნობები არტანუჯის ციხის და მისი სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ: „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს რაბატიცა და დაბა-ქალაქიც და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის ციხის მიწა-წყალი დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“.

ნაშრომში „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“ მოცემულია ცნობები იმის შესახებ თუ რა ტიტულით მიმართავდნენ უცხო სახელმწიფოების მეთაურებს ბიზანტიის იმპერატორები, როგორი შეძახილებით მიესალმებოდა ხალხი იმპერატორს სხვადასხვა ზეიმის დროს და ა.შ. მაგ. იბერიის კურაპალატს იმპერატორი ასე მიმართავდა : „ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან უდიდებულეს კურაპალატს“

XI საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის **XI ს-ის ბიზანტიელი ქრონისტის კედრენეს** და მისი გამგრძელებლის სკილიცას **“ისტორიული მიმოხილვა”**, რომელიც მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1059 წლამდე.

გიორგი კედრენე (XII ს.). XI-საუკუნის ქრონოგრაფოსი. მისი ბიოგრაფიული ცნობები დღეისათვის უცნობია. ვარაუდობენ, რომ ის სასულიერო პირი იყო. მისი სახელით ჩვენამდე მოაღწია ნაშრომმა **“ისტორიული მიმოხილვა”**, რომლის სრული სათაურია: **“ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ქვეყნის გაჩენით და ვიდრე ისააკ კომნენეს მეფობამდე, შედგენილი უფალ გიორგი კედრენეს მიერ**

სხვადასხვა წიგნების მიხედვით”. გიორგი კედრენეს “ქრონოგრაფია” წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1059-წლამდე. ეს იყო კომპილაციური ხასიათის შრომა, რომელიც ეყრდნობოდა იოანე სკილიცეს, გიორგი სინგელოზის, თეოფანე ჟამთააღმწერელის და სხვების ნაშრომებს.

თავისი შრომის შესავალში, კედრენე აღნიშნავს, რომ “ზევრ ღვთის მოსავსა და ისტორიაში გათვითცნობიერებულ მოღვაწეს უმუშავია ისტორიული მიმოხილვის შედგენაში” და პირველ რიგში იხსენიებს გიორგი სინგელოზს, თეოფანე ჟამთააღმწერელს და სხვებს, განსაკუთრებით კი იოანე სკილიცეს, რომელსაც დაწერილი ჰქონდა 811-1079 წლების “ისტორიული მიმოხილვა”. სკილიცეს თხზულების ძირითადი ნაწილი შესულია გიორგი კედრენეს “ისტორიულ მიმოხილვაში” (სკილიცეს შრომის სრული ბერძნული ტექსტი დღეისათვის გამოვლენილი არ არის).

გიორგი კედრენეს ცნობები საქართველოს შესახებ. გიორგი კედრენეს ცნობები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს შეეხება. ნაშრომის დასაწყისში ავტორი საუბრობს იაფეთის შთამომავლებზე, რომელთა შორის ასახელებს იბერებს, კოლხებს: “ნოემ თავის მესამე ვაჟს იაფეთს, რომელიც 425 წლისა იყო, მისცა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნები მიდიიდან ვიდრე ლადირთამდე და ბრიტანიის კუნძულებამდე, არმენია, იბერია, პონტო, კოლხეთი და მათ იქით მდებარე ქვეყნები”.

კედრენე თავის თხზულებაში გვაწვდის ცნობებს არგონავტთა ლაშქრობაზე; ჰერაკლე კეისრის ლაშქრობაზე კოლხეთში; სპარსთა ლაშქრობაზე ლაზების წინააღმდეგ; ჰერაკლე კეისრის ლაშქრობაზე (624 წელს) სპარსეთის (ხოსროს) წინააღმდეგ და ბიზანტიელთა ჯარში ლაზებისა და აბაზგების მონაწილეობაზე; ჰერაკლე კეისრის ლაშქრობაზე (626 წელს) ლაზების წინააღმდეგ.

საინტერესო ცნობებია დაცული კედრენესთან ბიზანტიასა და ლაზთა მეფე წათეს ურთიერთობის შესახებ. წყაროში აღნიშნულია, რომ “რომაელთა დიდი მეფის იუსტინეს მეფობის მეხუთე წელს ლაზთა მეფე წათე ჩამოშორდა სპარსთა ძალაუფლებას და მოვიდა იუსტინესთან ბიზანტიონში, მან სთხოვა იუსტინეს ქრისტიანობა მიმალეზინეო და ლაზთა მეფედ დამამტკიცეო. იუსტინემ ეს სიხარულით შეუსრულა: იშვილა კიდევაც წათე და კეთილშობილი რომაელი ქალიც მისცა. ეს რომ გაიგო სპარსელთა მეფემ კავადმა, შეუთვალა იუსტინეს: “თუმცა ჩვენს შორის მეგობრობა და ზავია, შენ მაინც მტრულად იქცევი, შენ იფარებ სპარსთა ძალაუფლების ქვეშ მყოფთ”. მეფემ მას უპასუხა: “ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომთაგან არავინ გადმოგვიბირებია. ხოლო წათე მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა გვეხსნა იგი საზიზღარი წარმართობისაგან, უწმინდური მსხვერპლისაგან, ეშმაკთა ცდუნებისაგან და გაგვექრისტიანებინა იგი, რათა

შეეცნო ჭეშმარიტი ღმერთი. ჩვენ ის მოვნათლეთ და ისე გავისტუმრეთ მის საკუთარ ქვეყანაშიო”. აი ამ დროიდან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის.” –ასკვნის კედრენე.

მნიშვნელოვანი ცნობები აქვს კედრენეს წარმოდგენილი ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს საქართველოსა და ბიზანტიის ოფიციალური ხელისუფლების ურთიერთობის ისტორიიდან. საუბარია იმ დახმარებაზე, რაც დავით კურაპალატმა გაუწია ბიზანტიას ამ ამბოხების ჩასაქრობად: “ამ ბრძოლის შემდეგ ფოკა დაუყოვნებლივ, რაც შეეძლო სწრაფად, გაემართა იბერიაში, მივიდა იბერთა არქონტთან დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი; მან სიამოვნებით აღუთქვა დახმარება....”

კედრენეს ცნობათაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეფე გიორგი I-სა და ბასილ კეისარს შორის მიმდინარე ომის ცალკეული ეპიზოდები, ცნობები სომხეთის ქალაქ ანისისათვის წარმოებული ბრძოლის თაობაზე, მეფე ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მართაყოფილ მარიამის ბიზანტიაში გათხოვებასა და მის იქ მოღვაწეობაზე. მარიამ დედოფლის მოღვაწეობა საერთოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს XI - XII საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსების შრომებში.

კედრენე - სკილიცას ცნობები საინტერესოა აგრეთვე მეფე ბაგრატ IV-სა და მის ურჩ ყმას - დიდებულ აზნაურ ლიპარიტ ბაღვაშს შორის წარმოებული ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის ცალკეული მხარეების, აგრეთვე ქართულ სახელმწიფოში მიმდინარე შინაკლასობრივ ბრძოლაში ბიზანტიის იმპერიისა და თურქ-სელჩუკთა მონაწილეობის გასარკვევად.

XI - XII საუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის, ტრაპიზონის სამეფოს დაარსების, სომხეთისათვის (კერძოდ ანისისათვის) წარმოებული ბრძოლის შესახებ საინტერესო ცნობებია მოწოდებული აგრეთვე **მიქელ პსელოსის, ანა კომნენეს, ნიკეტა ხონეატეს შრომებსა და ე.წ. ეფრემის ქრონიკაში, მიქელ პანარეტოსის** საისტორიო თხზულებაში.

აღსანიშნავია ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ შენიშნული ტენდენციურობა ბიზანტიელი ისტორიკოსებისა, რომელნიც როგორც წესი, ცდილობენ საქართველო ბიზანტიისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად მიიჩნიონ, ხოლო გაერთიანებული საქართველოს მეფეებს არასოდეს “მეფე” არ უწოდონ და ისინი მხოლოდ “მთავრის” ტიტულით ან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით მოიხსენიონ.

ანნა კომნენე (1083-1153 წწ). XII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი, ბიზანტიის იმპერატორ ალექსანდრე I კომნენოსის უფროსი ქალიშვილი ანნა დაიბადა 1083 წელს. მან იმპერატორის კარზე ბრწყინვალე აღზრდა მიიღო და თავისი დროის უგანათლე-

ბულებს ადამიანად იქნა აღიარებული. მას ღრმა ცოდნა ჰქონდა მიღებული მეცნიერების სხვადასხვა დარგში (ისტორია, გეოგრაფია, ფილოსოფია, ასტროლოგია, სამართალი, რელიგიური დოგმები, სამხედრო საქმე და ა. შ.). ასევე კარგად იცნობდა ანტიკურ პოეზიასა და პროზას, ისევე როგორც ისტორიასა და გეოგრაფიას, უყვარდა წიგნები და სწავლულ ადამიანებთან საუბარი.

1097 წელს ანნა ცოლად გაყვა ასევე განათლებულ პიროვნებას, მეცნიერს - ნიკიფორე ვრიენიოსს. ანნასა და მისი ქმრის განათლებაზე წერს ისტორიკოსი იოანე ზონარა. ანნა თავადაც ამბობდა თავისი განათლების შესახებ: „ჩემთვის უცხო არ იყო მეცნიერება, ღრმად მქონდა შესწავლილი ბერძნული ენა, დიდის მოსწრაფებით ვსწავლობდი რიტორიკას, წავიკითხე არისტოტელეს „ხელოვნებანი“, პლატონის „დიალოგები“ და გონება გავიწაფე მეცნიერებათა ოთხეულით“ (ტერმინი ოთხეულში იგულისხმება: ასტროლოგია, გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა)“.

ანნას ქმარი ნიკიფორე სამხედრო საქმის კარგი მცოდნეც იყო, მალე მიიღო კესარობა და შემდეგ პანიპერსევასტოსობა. ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შემდეგ ანნას იმედი ჰქონდა, რომ ტახტს ქმარს მოუპოვებდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა (ტახტზე ავიდა ანნას უმცროსი ძმა იოანე II კომნენოსი, 1118-1143წწ). სასოწარკვეთილი ანნა ჩამოშორდა საერო წრეებს და დაბინავდა დედამისის მიერ დაარსებულ „მიმადლებულის მონასტერში“ (ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი).

1138 წელს გარდაიცვალა ანნას ქმარი ნიკიფორე ვრიენიოსი, რომელსაც ანნა განსაკუთრებულ პატივს სცემდა როგორც მწერალსა და ადამიანს, როგორც სახელმწიფო სარდალსა და ვაჟკაცს. ანნა ქმარს თავის „ალექსიადაში“ დიდი აღფრთოვანებითა და სიყვარულით ახასიათებს.

ანნა კომნენეს კალამს ეკუთვნის 15 წიგნისაგან შემდგარი საისტორიო თხზულება „ალექსიადა“, რომელიც ანნას მამის - ალექსი I კომნენოსის მეფობის ისტორიაა და მოიცავს 1069 - 1118 წლების ამბებს. „ალექსიადას“ წყაროებია წინამორბედ ავტორთა ცნობები და თვით ავტორის მიერ ნახული და გაგონილი, მისი მამის ნაამბობი, წერილები და სიგელ-გუჯრები, თანამედროვე სარდლებისა და დიდებულ-მოხელეთა წრეებში შეკრებილი ცნობები. ანნა კომნენე ლიტერატურული და ფილოსოფიური რენესანსის ხანაში მოღვაწეობდა. ანნა ფაქტიურად აგრძელებს თავისი ქმრის თხზულებას, რომელიც ასევე ეხება ალექსი I კომნენოსის ცხოვრებას, მხოლოდ მისი ცხოვრების უფრო ადრეულ პერიოდს, ტახტზე ასვლამდე მონაკვეთს. ისტორიკოსი, რომლის საისტორიო თხზულება - „ალექსიადა“ - XI-XII საუკუნეთა ბიზანტიის

პოლიტიკური, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ უაღრესად მნიშვნელოვან მატეანეს წარმოადგენს.



ალექსი კომნენოსი

მესამე პერიოდის საისტორიო მწერლობაში, როგორც სხვა ჟანრებში, ანტიკურობისადმი მიბაძვა გაძლიერდა, შესაბამისად, “ისტორიების” ჟანრი დაწინაურდა.

ამ პერიოდის გამორჩეული ისტორიკოსია ანა კომნენოსი-XIII-ის გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი, .ალექსი კომნენოსის ქალიშვილი, კარგი განათლება მიიღო, ანტიკურ ლიტერატურას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, ღვთისმეტყველებას დაეუფლა. ცნობილი მხედართმთავრის, ვრიენიოსის, ცოლი გახდა, როცა დაქვრივდა, მწერლობას მიჰყო ხელი. მამის სიკვდილის შემდეგ მონასტერს მიაშურა. მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. ანა მარიამ დედოფლის , მიხეილ VII-ის კარზე იზრდებოდა, მის ვაჟზე, კონსტანტინეზე იყო დანიშნული, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ანამ საოცარი სტრიქონები უძღვნა მარიამსა და კონსტანტინეს:

მისი საისტორიო თხზულება “ალექსიადა”, ძირითადად, მამის, ალექსი კომნენოზის მეფობას აღწერს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სუბიექტურად გადმოგვცემს ამბებს, მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. ანა მარიამ დედოფლის, მიხეილ VII-ის კარზე იზრდებოდა, მის ვაჟზე, კონსტანტინეზე იყო დანიშნული, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ანამ საოცარი სტრიქონები უძღვნა მარიამსა და კონსტანტინეს:

ანა კომნენეს ცნობები საქართველოს შესახებ. საინტერესო ცნობები აქვს დაცული ანა კომნენეს საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის ასულზე მართაზე, რომელიც ბიზანტიის კეისარ მიხეილ VII დუკას (1071-1078) მეუღლე და ბიზანტიის იმპერიის დედოფალი - მარიამი- ხდება. ანას აღწერით „დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას. ის იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ“.

წყაროში საუბარია იმაზეც, რომ მარიამს ბიზანტიელ ქართველებთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი, კერძოდ კი სარდალსა და დასავლეთის დიდ დომესტიკოსთან გრიგოლ ბაკურიანის ძესთან. დედოფალი აქტიურად ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერს, განაგრძობდა დედის მიერ წამოწყებულ საქმე და სიონის მთის ქართული მონასტრის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა. მართა საქართველოში იყო ჩამოსული რუს-ურზნისის კრების მიმდინარეობის დროს.

1075 წელს მარიამ-მართასა და მიხეილ დუკას ვაჟი კონსტანტინე შეეძინათ, თუმცა ახალგაზრდა მეფე-დედოფლის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1078 წელს ბიზანტიის სამეფო კარზე მორიგი გადატრიალება მოხდა, მარიამ-მართას მეუღლე მიხეილ დუკა აიძულეს ბერად აღკვეცილიყო და იმპერატორად ნიკიფორე III ბოტანიატე (1078-1081)გამოაცხადეს. სამეფო ტახტის დასაკუთრების შემდეგ, ახალი იმპერატორის პირველი გადაწყვეტილება მარიამ-მართაზე დაქორწინება იყო. „სამეფო კვერთხი, რომ დაიპყრო ბოტანიატემ, თუმცა უკვე ბებერი და ადრე ორჯერ დაქორწინებული იყო, მაინც კიდევ დაქორწინდა დედოფალ მარიამზე“-ნათქვამია წყაროში.

საინტერესოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკუთარი ვაჟისთვის სამეფო ტახტის შესანარჩუნებლად, მართა-მარიამი იმპერატორი ქმრის წინააღმდეგ, კომნენოზების დინასტიის მოკავშირე გახდა და ხელი შეუწყო ალექსი კომნენოსის (1081-1118) გამეფებას იმ პირობით, რომ ის მის შვილს კონსტანტინეს თანამმართველად დაისვამდა და შემდეგ სამეფო გვირგვინსაც მისცემდა. ანას გადმოცემით, „თანამმართველის რანგში (1081-1092წწ) კონსტანტინე სამეფო სიგელებსა და ოქრობეჭდებს ალექსი

მეფის შემდეგ წითელი მელნით აწერდა ხელს და საზეიმო გამოსვლების დროს სამეფო თავსაბურავით შემკული ალექსის უკან მიჰყვებოდა“. 1092 წელს ალექსი კომნენოსმაც დაარღვია პირობა. მარიამი მონაზვნად აღიკვეცა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ბრძოლას შვილისათვის ტახტის მოსაპოვებლად. 1094 წელს მან მონაწილეობაც კი მიიღო ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში. 1096 წელს მარიამის შვილი, კონსტანტინე, გარდაიცვალა. ამის შემდეგ დედოფლისათვის აზრი დაკარგა პოლიტიკურმა ბრძოლამ.

ნიკეტა ხონიატე (? -1213). დაიბადა ხონეში (ძველი კოლოსე). განათლება მიიღო კონსტანტინეპოლში უფროსი ძმის, მიხეილ ხონიატეს ხელმძღვანელობით. შემდეგ სამსახური დაიწყო, იყო ისააკ ანგელოსის (1185–1195) დროს კეისრის მდივანი, ხოლო 1189 წლიდან ფილიპოპოლისის თემის სტრატეგოსი. 1204 წელს მიაღწია ლოგოთეტის წოდებას. 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ გაიქცა და თავი შეაფარა ნიკეას, სადაც მსახურობდა თეოდორე ლასკარის კარზე. გარდაიცვალა 1213 წელს.

მისი მთავარი ნაშრომია 21 თავისგან შემდგარი „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1118–1206 წწ ეპოქას. ნიკეტა ხონიატეს „ისტორია“ სრულად არის მოღწეული და მასში აღწერილია იმპერატორთა ცხოვრება იოანე კომნენოსიდან (1118–1143) – ალექსი V დუკას (1204) ჩათვლით. შრომის ბოლოს ავტორი მოთხრობილია კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგდროინდელ მოვლენათა შესახებ. გარდა „ისტორიისა“, ნიკიტა ხონიატეს ეკუთვნის თხზულება იმ „ქანდაკებათა შესახებ“, რომლებიც დაამსხვრიეს ლათინებმა (1204 წელს); აგრეთვე, 1185 წელს დაწერილი პოემა ისააკ ანგელოსისა და მარგარიტას ქორწინებაზე.

მდიდარი და საინტერესო, ნაციონალური გრძნობებით განმსჭვალულია ამ პერიოდის საისტორიო პროზა, რომელმაც შემოგვინახა არა მარტო ლათინთა შემოსევებისა და იმპერიის დაშლის, არამედ თურქ-ოსმანთა შემოსევებისა და იმპერიის არსასრულის ტრაგიკული და დრამატული ამბები.

უნიკალურ ცნობებს ჯვაროსანთა მე-4 ლაშქრობაზე გადმოგვცემს მე-12 ს-ის მდიდარი საისტორიო თხზულება, 21 წიგნისაგან შემდგარი-„რომაელთა ისტორია“ (1180-1206წწ)- რომლის ავტორია ნიკიტა ხონიატი.

ნიკეტა ხონიატეს ცნობები საქართველოს შესახებ. ნიკეტა ხონიატესტან დაცულია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საინტერესო საკითხი კომნენოს-თა დინასტიის მმართველობის ხანაში (XIII). მაგ. როდესაც ის აღწერს ანდრონიკე I კომნენოსის (1183-1185 წწ) ჩაცმულობას, მიუთითებს, რომ საზეიმო შემთხვევებში ის ყოველთვის ატარებდა ქართულ მაღალ თავსაბურავს და იისფერ, იბერიული ქსოვილისაგან შეკერილ ზედა სამოსელს. საუბარია ასევე ბიზანტიელთა ჯარში იბერიელთა მონაწილეობის შესახებ, რომლებიც „სამეფეო ქალაქში სავაჭროდ იყვნენ გამოგზავნილნი“; იბერიელთა რაზმზე, რომელიც ფაზისიდან იყო და ასევე მონაწილეობას ღებულობდა ბიზანტიელთა ლაშქრობაში; მოხსენიებულია ქ. ფოთი, რომელიც „სავაჭრო ქალაქადაა“ წარმოდგენილი, საიდანაც საქონელი ხომალდებით შეჰქონდათ ბიზანტიონში. ყურადღებას იქცევს ბიზანტიის კეისრის მოხსენიება, როგორც აგრეთვე „ლაზთა და იბერთა... ღვთივმმართველის“; ჯვაროსანთა პოლიტიკაზე საუბრის დროს, ხონიატე აღნიშნავს, რომ მათ მაშინვე გაინაწილეს ბიზანტიის მოხარკე სამფლობელოები, მათ შორის აღმოსავლეთ იბერები.

XIII - XIV საუკუნეების საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი ცნობები დაცული აქვს ბიზანტიელ ისტორიკოსსა და მწერალს ნიკიფორე გრიგორასს (1295 - 1360). ის იყო ასევე ცნობილი ასტრონომი, მეცნიერი და თეოლოგი. დაიბადა პონტოს ჰერაკლეაში. ის ბავშვობაში დაობლდა და მისი აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ იოანემ, ჰერაკლიის ეპისკოპოსმა. პირველი განათლება გრიგორასმა ჰერაკლეაში მიიღო თავისი ბიძის ხელმძღვანელობით, მისგან ისწავლა გრამატიკა და რიტორიკა. 20 წლის რომ შეიქმნა, ბიძამ კონსტანტინეპოლში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. XIV საუკუნის უდიდესი მეცნიერის თეოდორე მეტოხიტასთან დაეუფლა ის ფილოსოფიასა და ასტრონომიას.

გრიგორასს მეტოხიტის წყალობით ყურადღება მიაქცია კეისარმა ანდრონიკე II-მ, რომელიც დიდად სწყალობდა მეცნიერებასა და ლიტერატურას. გრიგორასი 27 წლის იყო, როდესაც ის კეისარს წარუდგინა მეტოხიტემ.

1326 წელს ანდრონიკე II-მ სერბიაში გააგზავნა ის ელჩად. 1328 წელს ნიკიფორემ ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მთავრობის რისხვა დაიმსახურა და იძულებული გახდა საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორებოდა, მხოლოდ 1330 წელს საშუალება

მიეცა დაბრუნებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკლესიათა უნიის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკებაში. ნიკიფორე გრიგორასი გარდაიცვალა 1360 წელს.

გრიგორასის „ისტორია“ ძირითად წყაროს წარმოადგენს XIV საუკუნის I ნახევრისთვის. მისი საისტორიო თხზულება მოიცავს 1204 - 1359 წლების ამბებს და იწყება ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებით 1204 წელს.

საგულისხმოა ნიკიფორე გრიგორასის შეხედულება ისტორიკოსის დანიშნულებაზე. მისი აზრით, ისტორიკოსისთვის ჭეშმარიტება იგივეა, რაც ცხოველისათვის თვალი. მას სამარცხვინო საქციელად მიაჩნია ისტორიკოსისათვის ყალბი ცნობების მიწოდება მკითხველისთვის.

ნიკიფორე გრიგორასის ცნობები საქართველოს შესახებ. ნ. გრიგორასის „ისტორიაში“ დაცულია ცნობები იმ პოლიტიკური ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორები აწარმოებდნენ ტრაპიზონის სამეფოში თავიანთი გავლენის დასამყარებლად, და იქ ქართული პოლიტიკური გავლენის მოსასპობად. განსაკუთრებით რელიეფურადაა ეს ნაჩვენები ალექსი კომნენოსის (1296 - 1330) მეფობის აღწერისას. საყურადღებოა გრიგორასის ცნობები კონსტანტინოპოლის კარზე ტრაპიზონელი მეფეების ოფიციალური წოდებულობის შესახებ: „ლაზთა მმართველი“, „კოლხეთის მფლობელი“, „ლაზი“. გრიგორასი, როგორც ბიზანტიის იმპერატორთა პოლიტიკის დამცველი, ტრაპიზონის მეფეებს არასდროს მეფის წოდებით არ იხსენიებს. საინტერესოა ასევე მისი ცნობები კოლხთა და ლაზთა ქვეყანაზე, პომპეუსის ლაშქრობაზე. ის აღნიშნავს, რომ „კოლხეთი მართლმადიდებელთა ქვეყანაა. ასევე საინტერესოა მისი ცნობა იმის შესახებ, რომ მიხეილ VIII პალეოლოგის ქალიშვილი ევდოკია იოანე ლაზის (წარმოშობით ლაზის?) მეუღლე იყო.

XIII - XIV სს-ში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ბიზანტიელი ისტორიკოსის **მიქელ პანარეტოსის** თხზულებაში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია **„ტრაპიზონის ქრონიკის“** სახელით. მ. პანარეტოსის თხზულებაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ტრაპიზონის სამეფოს ისტორია 1204 წლიდან 1426 წლამდე. ავტორი მოღვაწეობ-

და XIVს. მეორე ნახევარსა და XVს. პირველ მეოთხედში. პანარეტოსი დაახლოებული იყო ტრაპიზონის სამეფო კართან, ყოფილა საქართველოში ბაგრატ V-ის კარზე და სხვ.

ტრაპიზონის იმპერია



მიქელ პანარეტოსის “ტრაპიზონის ქრონიკა” ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას გადმოგვცემს 1204-1426 წლებში, ასახავს ქართველთა წვლილს ამ სახელმწიფოს შექმნაში. ცნობილია, რომ თამარ მეფემ 1204 წელს ილშქრა ბიზანტიის მოსაზღვრე რაიონებში, რომლებშიც ქართველთა მონათესავე ლაზებითა და ჭანების ტომებებით იყო დაარსებული, დაიპყრო ლაზიკა, ტრაპიზონი, სინოპი, სამსუნი, კერასუნი, კოტიორა, წაართვა ბიზანტიას და შექმნა ცალკე საკეისრო, სადაც ბერძენი უფლისწული, ანდრონიკე I შთამომავალი ალექსი კომნენოსი გაამეფა, რომელიც დედის მხრივ ქართველი იყო და ქართველ ბაგრატიონებს ენათესავებოდა: “მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინეპოლიდან, ხოლო გამოილასქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი”.

მ. პანარეტოსის თხზულება იწყება ტრაპიზონის სამეფოს დაარსებით (1204 წელს). მასში აღნიშნულია თამარ მეფის დიდი როლი ამ ისტორიულ მოვლენაში. მოთხრობილია ბიზანტიის იმპერატორების ბრძოლის ეპიზოდები ტრაპიზონში ქართული სახელმწიფოებრივი გავლენის აღმოსაფხვრელად XIII ს. 80-90-იან წლებში; ტრაპიზონის სამეფოში დავით ნარინის სამხედრო ექსპედიციების, სამცხის მთავრებთან დინასტიური კავშირის შესახებ და სხვ. აღწერილია აგრეთვე თემურლენგის მიერ თბილისის აღება, გამარცვა და აოხრება, ბაგრატ V-ის ტყვედ ჩავარდნა მეულლითა და შვილით.

ცნობები საქართველოს შესახებ მოეპოვებათ აგრეთვე აღნიშნული ხანის სხვა ბიზანტიელ მწერლებსაც.